

# რუსეთი საქართველოში ხელისუფლების შეცვლას ისევ აკირებს

გაზეთი “ახალი თაობა” – 12 სექტემბერი, № 252, 2008

ინტერვიუ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, ბოლო პერიოდში დასავლურ პრესაში გაჩნდა საინტერესო მასალები საქართველოსთან მიმართებაში იგივე ხელისუფლების კრიტიკის კუთხით. ამ მასალებზე დაყრდნობით, რა შეგიძლიათ თქვათ, რა მოხდა რეალურად საქართველოში?

– რუსეთის მასშედილაში დღეისათვის დაახლოებით ისეთი სურათია შექმნილი, რომ ქართველები არიან სისხლისმსმელი ფაშისტები და რუსი ჯარი არის განმათავისუფლებელი. რაც შეეხება დასავლეთის პრესას, აქ შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტურად დიდი უმრავლესობა არის საქართველოს მხარდამჭერი.

– მაინც რა იყო მომხდარი, დიდი პოლიტიკის ჭიდილი ქართულ მიწაზე თუ აფხაზების და ოსების ინტერესების გათვალისწინება?

– პუტინმა თქვა, ამერიკის საარჩევნო კამპანიააო. გაჩნდა ნავთობსადენების და გაზსადენების ვერსიაც. ბევრი ვერსიაა. რა თქმა უნდა, ამ ვერსიებს არსებობის უფლება აქვს. ზოგი მეტ-ნაკლებად სარწმუნოა, ზოგიც – დიმილისმომგერელი. მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის. როდესაც საბჭოთა კავშირი იშლებოდა, მოსკოვმა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში პროვოცირება გაუკეთა სეპარატისტულ მოძრაობებს. ამ ხაფანგში არაერთი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გაება, მათ შორის საქართველოსიც. როცა რუსეთმა სეპარატისტულ მოძრაობების ინსპირირება მოახდინა აფხაზეთსა და ოსეთში, და იქ ცისფერჩაფხუტიანების ფორმაში გამოწყობილი საოკუპაციო

ჯარი ჩააყენა, მაშინ რა, ამერიკის პრეზიდენტს ირჩევდნენ?! ამიტომ პუტინის არგუმენტი ღიმილისმომგვრელია. იგივე მილსადენებიც არ არის მთავარი თემა, რადგანაც ეს შედარებით მაინც ახალი პრობლემაა. რუსეთი-საქართველოს ურთიერთობაში ეს ომი ახლა არ დაწყებულა. ეს ომი დიდი ხანია არის და განახლდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. პარალელურად დაშვებულ იქნა საკმაოდ დიდი შეცდომები თბილისის მიერ, და რუსეთის პროვოკაციას წამოვეგეთ. ანუ მოხდა ის, რაც დიდი ხანია უკვე დაწყებული იყო. რა რუსულ თვითმფრინავებს აქამდე ბომბები არ ჩამოუგდია საქართველოში? პანკისის ხეობა გავიხსენოთ. მართალია ადრე არ იყო ინტენსიური დაბომბვა, მაგრამ ხომ გვბომბავდნენ. შემდეგ რუსეთმა ჯერ იყო და საქართველოს დაუწესა სავიზო რეჟიმი და შეღავათიანი რეჟიმები – აფხაზეთის და ოსეთის მაცხოვრებლებს. შემდეგ იქ რუსული პასპორტებიც დაარიგა. ეს ხომ იყო ამ ტერიტორიების ანექსია. შემდეგ იყო ის, რომ რუსეთმა სავაჭრო ემბარგო გამოუცხადა საქართველოს, მოგვიანებით კი, 2006 წლის ზაფხულში დაიწყო რუსეთში ეთნიკური ქართველების დევნა. ახლა რაც მოხდა, ეს არის ლოგიკური გაგრძელება იმ პროცესების, რაც აქამდეც იყო.

– **ექსპერტების და პოლიტიკოსების ნაწილი ომამდე ცოტა ხნით ადრე აცხადებდა, რომ უცხოელი დიპლომატების აქტიური მიმოსვლა კონფლიქტების გაყინვის საწინდარიყო, თუმცა ვითარება სხაგვარად წარიმართა.**

– კონფლიქტები მართლაც გაყინული იყო და გადაწყვეტის ნიშნები არ ჩანდა. მოსკოვიც აღაიარებდა, რომ აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც დეიურე საქართველოს შემადგენლობაშიაო. რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ცნობდა, მაგრამ დეფაქტო ყველანაირად ხელს უწყობდა, რომ ეს რეგიონები უფრო მოსკოვისკენ ყოფილიყვნენ შეტრიალებულნი. ხელს უწყობდნენ იქ მარიონეტული ხელსიუფლებების დასმას და ანტიქართული განწყობილების კულტივირებას. ასე რომ, ეს ყველაფერი იყო. შემდეგი ცნობილი ნაბიჯი, რაც გადაიდგა, ეს იყო 2008 წლის აპრილის პუტინის ცნობილი გადაწყვეტილება, როცა მან დააგადა რუსეთის მთავრობას ლეგალურად გაეაქტიურებინა ეკონომიკური ურთიერთობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ამას წინ უსწრებდა ის, რომ სამხრეთ ოსეთში

მთელ რიგ საკვანძო თანამდებობებზე ძალოვან უწყებებში ინიშნებოდა რუსეთის ჯარის მოქმედი ოფიცრები. ასე რომ, ეს ყველაფერი დაძაბულობისკენ მიდიოდა.

**– აქვს თუ არა საქართველოს მხარეს შეცდომები დაშვებული?**

– დრო გავა და ალბათ უფრო ადვილი იქნება ამ შეცდომებზე მსჯელობა. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ რა თქმა უნდა, შეცდომები იყო დაშვებული. ერთ-ერთ ასეთ შეცდომად მიმაჩნია 2004 წლის ზაფხულის მოვლენები, როცა იყო პრაქტიკულად მოუმზადებელი მცდელობა ძალისმიერი გზით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის დაბრუნებისა. სამწუხაროდ, ეს ოპერაცია არ აღმოჩნდა წარმატებული და ის მცირე ნდობაც დაიკარგა, რაც სამხრეთ ოსეთში იყო. ამავდროულად ქართული პოლიტიკისთვის აგრესიული რიტორიკა იყო დამახასიათებელი. ეს რიტორიკა მიმართული იყო როგორც ცხინვალისა და სოხუმის, ისე მოსკოვის წინააღმდეგ. ასე, რომ ქართულ მხარეს შეცდომებიც ჰქონდა. თუმცა ამაზე უმჯობესია ამ სფეროს ექსპერტებმა ისაუბროს. იმავდროულად რუსეთი სპეციალურად მახეს მახეზე აგებდა, რათა ქართული მხარე პროვოკაციას წამოგებოდა.

საქართველოს მთავრობის მისამართით ერთი სერიოზული შეკითხვა მიჩნდება. ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტმაც დაადასტურა თავისი ხელმოწერით შეთანხმება ცეცხლის არგახსნის შესახებ. მაგრამ, სანამ ეს სამხედრო ოპერაციები დაიწყებოდა ცხინვალის რეგიონში, მანამდეც ხომ იდგა ეს მოთხოვნა? მაშინ არ იქნა ეს ხელმოწერილი. რუსეთის მხრიდან მაშინ გაპიარდა, რომ იმისათვის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერები დასხდნენ სამშვიდობო მოლაპარაკების მაგიდასთან საქართველოსთან, ითხოვენ, რომ საქართველომ მოაწეროს ხელი ცეცხლის არგახსნის შესახებ შეთანხმებას. ახლა მოვაწერეთ. მაშინ რომ მოგვეწერა ხელი ამ შეთანხმებაზე, რასაც ახლა მოვაწერეთ, იყო თუ არა გარანტია იმის, რომ ეს ომი არ დაიწყებოდა? ამ შემთხვევაში არც ეს ხალხი დაუღუპებოდა, ვერც მოსკოვი ცნობდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობას, არც ის ქართული სოფლები დაინგრეოდა, რომლებიც ამ რეგიონში იყო და არც ქართველებს გამოაძევებდნენ იქიდან. ავიღებდით ამ ვალდებულებას

ცეცხლის არგახსნის შესახებ და დავიტოვებდით შესაძლებლობებს მშვიდობიან ფორმატში საუბრების გაგრძელებისა. ახლა უკვე ცეცხლის არგახსნას მოვაწერეთ ხელი, როცა რუსეთმა უკვე აღიარა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, როდესაც იქ დაინგრა ქართული სოფლები, როდესაც იქიდან გამოყარეს ქართველები. ეს არის პრობლემა იმის შესახებ: სჯობდა, რომ მოგვეწერა მაშინ ხელი და გაგვეგრძელებინა სამშვიდობო ფორმატში მოლაპარაკებები, თუ არანაირი შესაძლებლობა არ იყო ომის თავიდან აცილებისა და მიტომ არ მოვაწერეთ ხელი.

**– თქვენი აზრით, სანაკოვეის პროექტი გამართლებული იყო? ბევრი მას არასწორ პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნევს.**

– ჩემის აზრით, გამართლებული იყო. ის იქნებოდა წარმატებული, საქართველოს ომი თავიდან რომ აეცილებინა. მაშინ, როდესაც სანაკოვეის პროექტი შეიქმნა, თუ ამას აგრესიული სამხედრო რიტორიკა არ მოჰყვებოდა, ხოლო ის პოზიტიური ნაბიჯები, რომ რაღაც კეთდებოდა (შენდებოდა სკოლები, ბაღები, საავადმყოფოები და ა.შ.) გაგქედდებოდა, მაშინ ეს იქნებოდა ძალზედ წარმატებული პროექტი.

**– ანუ წყალში გადაყრილი არ აღმოჩნდა ის მილიონები, რომელიც სანაკოვეის პროექტზე დაიხარჯა?**

– ეს მილიონები იქნებოდა სრულად გამართლებული, თუ კი მთლიანობაში ყველაფერი სწორედ წარიმართებოდა და საქართველო რუსულ მახეში არ გაებმებოდა და სამხედრო დაპირისპირებას თავიდან აიცილებდა. აღმოჩნდა თუ არა ეს ფული საბოლოოდ წყალში გადაყრილი, ამაზე დღეს სრულყოფილად საუბარი შეუძლებელია. დრო უნდა გავიდეს. ერთი რამ ხომ ფაქტია – რუსეთი რომ ჩვენ ოსების გენოციდს გვაბრალებს, ასეთს ხომ ადგილი არ ჰქონია. შეუძლებელია გენოციდი ქვეყნის მხოლოდ ერთ ნაწილში აწარმოო. მაშინ ოსების გენოციდი უნდა ყოფილიყო მთელ საართველოში. ეს არ ყოფილა და ამის ერთ-ერთი დასტურია სანაკოვეის და მისი გუნდის არსებობა. ამ ვითარებაში სულაც არ მიმჩანია გამართლებულად, რომ სანაკოვეის პროექტი გაუქმდეს. იარსებოს და თუ მას, და ჩვენი ოსი ძმების გუნდს, რომლებიც ჩვენს გვერდით დადგნენ ამ მძიმე მომენტში გარკვეულ

პოსტებს შესთავაზებენ მთავრობაში, არც ეს იქნება ცუდი. ეს ადამიანები ჩვენი “ოქროს ფონდია” და მათ გაფრთხილება სჭირდება!

**– მთელი მოსფლიო შეყურებდა მედვედევისა და სარკოზის შეხვედრას. როგორ აფასებთ ამ შეხვედრაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს?**

– იმაზე მეტი, რაც ევროპამ გააკეთა, მოსალოდნელი არ იყო. ჩვენ გაგვიხარდებოდა, რომ ვიღაცას მოსკოვისთვის ყური უფრო მწარედ აეწია. მაგრამ ეს ასე არ არის. მოსკოვს თავისი პოტენციული გააჩნია. ანგარიშგასაწვეი ძალაა განსაკუთრებით ენერგეტიკული თვალსაზრისით, იმიტომ რომ ევროპა 40%-ით დამოკიდებულია რუსული გაზის იმპორტზე. ერთი მხრივ ევროპისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფასეულობაა დემოკრატია, დამოუკიდებლობა, მაგრამ მეორეს მხრივ ევროპელი პოლიტიკოსები ანგარიშს უწევენ იმას, რომ მის ამომრჩევლებს უნდათ, რომ შესაბამის ქვეყნებში იყოს შუქიც, გათბობაც და ცხოვრების სხვა ელემენტარული პირობებიც. ამიტომ ამ პოლიტიკოსებს, რა თქმა უნდა, სხვა არჩევანი არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ ერთი მხრივ რუსეთის მიმართ ჰქონოდათ გარკვეული სერიოზული მოთხოვნები და იმავდროულად ანგარიში გაეწიათ იმისთვის, რომ ახლა რუსეთიც არ არის ის ქვეყანა, რომ პირადად მიხვიდე და რაც გაგიხარდება ის გაუკეთო.

**– ოპოზიციაში ბევრი ფიქრობს, რომ სააკაშვილმა რუსეთის თამაში ითამაშა.**

– ამაზე სრულყოფილი ანალიზის დადება შესაძლებელია მომავალში, როდესაც ის პირუთვნელი ექსპერტები, რომლებიც არ არიან თანამედროვეები, ამაზე შეძლებენ დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებას.

**– ფაქტია რუსეთმა მიიღო, რაც უნდოდა.**

– მე ვერ გეტყვით, რომ საქართველოსგან რუსეთმა მიიღო, რაც უნდოდა. ჩემი აზრით, რუსეთს ბევრად უფრო მეტი უნდოდა და შეიძლება დღესაც უნდოდეს კიდევ. რუსეთს არა მგონია, უნდოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება. ეს რუსეთისთვის უფრო წვრილმანია.

**– თუ არ უნდოდა, რატომ აღიარა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა?**

– იმიტომ, რომ ახლა უნდოდა “კბილების” ჩვენება. რუსეთს უნდოდა, რომ დასავლეთს დაენახა მისი ძალა. იმავდროულად, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებისთვის უნდოდა ეჩვენებინა, თუ მათ შორის ყველაზე დაუმორჩილებელს როგორ დასჯის.

– **ბატონო ლადო, რუსეთის ეკონომიკა სერიოზულად დაზარალდა ამ ომით?**

– რა თქმა უნდა, ზარალი მიიღო. მთელმა მსოფლიომ თქვა, რომ რუსეთი აგრესორია, ამანაც მიაყენა რუსეთის ეკონომიკას ზარალი. ეს არის უარყოფითი შეტყობინება ნებისმიერი ბიზნეს-წრისთვის. თუ რუსეთს სანქციები დაუწესდა, იქ ბიზნესის წარმოება კიდევ უფრო გართულდება. ამან გამოიწვია კაპიტალის გადინება რუსეთიდან, პრობლემები შეექმნა რუსული რუბლის გაცვლით კურსს, მაგრამ რუსეთში ჯერ ეკონომიკური კრიზისი არ არის. ეს არის კრიზისის წინაპირობა. ეს არის მოვლენა, რომელიც თუ ტენდენციად ჩამოყალიბდა, მხოლოდ მაშინ შექმნის კრიზისს. ვფიქრობ, რუსეთს შეუძლია თავიდან აიცილოს სერიოზული კრიზისი და მას ამის შანსი ევროკავშირმა მისცა. ამისთვის პირველ რიგში საქართველოდან საოკუპაციო ჯარი უნდა გაიყვანოს. ეს რუსეთისადმი ნდობის ელემენტებს გააჩენს. მეორე, ეს არის ევროპული სამშვიდობო მისია, რაც იმის გარანტია უნდა გახდეს, რომ სამშვიდობო პროცესი აღარ დაირღვევა.

– **რუსეთის პრეზიდენტმა სააკაშვილს “პოლიტიკური გვამი” უწოდა. ადეკვატურად შეაფასა მედვედევა?**

– მე საერთოდ ვთვლი, რომ ნებისმიერი თანამდებობის პირი, თუნდაც მინისტრის მოადგილე იყოს, თავს უნდა იკავებდეს არაადეკვატური განცხადებებისგან, რომელიც ან უზრდელობაა ან უზრდელობის ზღვარზეა. როგორ შეიძლება სააკაშვილს უწოდო “პოლიტიკური გვამი”, როცა ის მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებთან არის კონსულტაციაში, როდესაც ამერიკა და მთელი ევროპა სააკაშვილს მხარს უჭერს და ეხმარება. ის აქტიურ პოლიტიკურ ორბიტაშია მოქცეული და წამყვანი ქვეყნების პრეზიდენტები მასთან აქტიურად თანამშრომლობენ. ვფიქრობ, ეს მედვედევის კიდევ ერთი სერიოზული შეცდომა იყო.

**– ოპოზიცია ხელისუფლებაში დამნაშავეთა გამოვლენასა და დასჯას მოითხოვს. არის ამ დრო?**

– ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველო ჯერ კიდევ ოკუპირებულია. რუსის ჯარი ჯერ კიდევ აქ დგას და ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთი აქ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას მოითხოვდა და პრაქტიკულად დღესაც მოითხოვს. როცა მღვებდები აცხადებს, რომ სააკაშვილი მისთვის “პოლიტიკური გვამია”, ეს ნიშნავს, რომ ეს “გვამი” მოაშორეთო. მე პირადად, მიუხედავად ჩემი კრიტიკული დამოკიდებულებისა სააკაშვილის მთავრობის მიმართ, რაზეც არაერთხელ მისაუბრია, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება არ არის გამართლებული, თუმცა ეს არ ნიშნიშნავს, რომ ამაზე არ ვიფიქროთ და არ ვიმსჯელოთ, მაგრამ დღეს მოსკოვის თამაშს ნუ ვითამაშებთ! ნებისმიერი მოწოდება დღეს სააკაშვილის გადადგომის შესახებ, ზუსტად ჯდება კრემლის ინტერესებში.

**შორენა კოწოწაშვილი**